


EEU

საგამოცდო ცენტრის დებულება



თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

ეს დებულება განსაზღვრავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საგამოცდო ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2

1. ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ დებულებით, უნივერსიტეტის დებულებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი შიდა დოკუმენტებით.

2. ცენტრი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

თავი II

ცენტრის ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 3

1. ცენტრის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტში გამოცდების ორგანიზება და საგამოცდო სისტემის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა;

ბ) გამოცდების განრიგის ფორმირების უზრუნველყოფა;

გ) სტუდენტებისა და ლექტორებისთვის გამოცდებთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა;

დ) საგამოცდო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი;

ე) დაშიფრული ნაშრომების გამსწორებლებისთვის გადაცემის და შესწორებული ნაშრომების ჩაბარების უზრუნველყოფა.

ვ) სტუდენტებისთვის ნაშრომების გაცნობის უზრუნველყოფა და აპელაციის პროცესის ორგანიზება.

ზ) რექტორის სხვა დავლებების შესრულება

თავი III

ცენტრის სტრუქტურა, ხელმძღვანელობა და თანამშრომლები

მუხლი 4

1. ცენტრს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.
2. ცენტრის შემადგენლობაში შედიან მენეჯერები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი. ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ცენტრის უფროსის წინაშე და მისი არყოფნის შემთხვევაში ცენტრის უფროსის გადაწყვეტილებით ერთ-ერთი მათგანი ასრულებს მის მოვალეობას.

მუხლი 5

1. ცენტრის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;

ბ) პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

- ბ) ანაწილებს ფუნქციებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ შესაბამის მითითებებს და დავალებებს;
- გ) აკონტროლებს ცენტრის თანამშრომლების მიერ ფუნქციების შესრულებას;
- დ) პერიოდულად ცენტრის თანამშრომლებისგან ისმენს ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;
- ე) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ავიზებს ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს;
- ვ) ანაწილებს ცენტრში შემოსულ კორესპონდენციას;
- ზ) უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს ცენტრის საქმიანობის შესახებ ანგარიშს;
- თ) უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს წინადადებებს ცენტრის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
- ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სახელით გასცემს დასკვნებს;
- კ) შუამდგომლობს ცენტრის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;
- ლ) წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- მ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი IV

საგამოცდო ცენტრის მიერ გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია

მუხლი 6. გამოცდების ჩატარების ფორმატი

სწავლების ორივე საფეხურზე, შუალედური, სემესტრული დასკვნითი/დამატებითი გამოცდები ცენტრის მიერ ტარდება ცენტრალიზებული წერილობითი ფორმით.

მუხლი 7. გამოცდების განრიგი

- 1.გამოცდების განრიგის ფორმირებას, ფაკულტეტთან კონსულტაციების შედეგად, უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი.
- 2.შუალედური გამოცდების განრიგი უნდა გამოქვეყნდეს აკადემიური რეგისტრაციის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო დასკვნითი გამოცდების განრიგი საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა.

მუხლი 8. საგამოცდო საკითხების/ბილეთების წარმოდგენა

- 1.ცენტრმა ვადლებულია ორგანიზება გაუწიოს პედაგოგების მიერ საკითხების/ბილეთების წარმოდგენის პროცესს, ჩაიბაროს ისინი, არ გაამჟღავნოს მათი შინაარსი და უზრუნველყოს მათი გამრავლება გამოცდებისთვის.
- 2.საგნის პედაგოგი ვალდებულია საგამოცდო საკითხები ან ბილეთები ცენტრში წარმოადგინოს გამოცდების დაწყებამდე ერთი კვირის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს სამი დღისა.
3. წარმოდგენილი საკითხები/ბილეთები, სრულად უნდა მოიცავდეს და შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულ თემატიკას.
- 4.ბილეთის ფორმას, მასში საკითხების ოდენობას და შეფასების კრიტერიუმებს განსაზღვრავს პედაგოგი.
- 5.საგამოცდო საკითხებს/ბილეთებს თან უნდა ახლდეს ლექტორის მიერ შევსებული დანართი №1–ით დამტკიცებული ფორმულარი.

6. საგამოცდო საკითხების ან/და კომბინირებული ბილეთის წარმოდგენის შემთხვევაში (საგამოცდო კაზუსები, ამოცანები, განტოლებები ან სხვა მსგავსი ტიპის დავალებები), პედაგოგი ვალდებულია დაურთოს ბილეთის ფორმირების ინსტრუქცია.

მუხლი 9. საგამოცდო ნაშრომის გასწორება

1. ცენტრი ვალდებულია გამოცდის ჩატარებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს აკადემიური პერსონალისთვის საგამოცდო ნაშრომების გადაცემა და გასწორების შემდეგ ჩაიბაროს ისინი.

2. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

ა) გამოცდის ჩატარებიდან მომდევნო სამუშაო დღის განმავლობაში ცენტრისგან ჩაიბაროს საგამოცდო ნაშრომები გასასწორებლად.

ბ) გაასწოროს ნაშრომები მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში და არაუგვიანეს მეექვსე დღის 12 საათისა წარადგინოს ცენტრში.

3. ცენტრი ვალდებულია გასწორებული ნაშრომების მიღებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში გადასცეს ელექტრონულ მართვის სისტემაში შედეგების ასახვაზე პასუხისმგებელ პირს.

მუხლი 10. საგამოცდო ნაშრომის გაცნობა და გასაჩივრება

1. სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში მიმართოს უნივერსიტეტს განცხადებით (ელექტრონული ბაზის საშუალებით) და მოითხოვოს ნაშრომის გაცნობა და შედეგების გადასინჯვა.

2. ცენტრი ვალდებულია უზრუნველყოს განცხადების/საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში სტუდენტისთვის თავისი ნაშრომის გაცნობა.

3. ცენტრი ვალდებულია იმ სტუდენტების ნაშრომების ქსეროასლები, რომელებიც არ ეთანხმებიან გამოცდაზე მიღებულ შეფასებას და მოითხოვენ შედეგების გადასინჯვასთვის,

სტუდენტისთვის ნაშრომის გაცნობიდან ერთი სამუშაო დღის, ან გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში გასასწორებლად გადასცეს საგნის პედაგოგს/სააპელაციო კომისიას, რომელიც თავის მხრივ 2 სამუშაო დღის ვადაში ვალდებულია მიაწოდოს ცენტრს აპელაციის დასკვნა.

4.წინამდებარე მუხლით განსაზღვრული პროცედურის დასრულების შემდეგ ნაშრომის ასლი, აპელაციის დასკვნასთან ერთად, უბრუნდება ცენტრს, რომელიც თავის მხრივ უბრუნველყოფს მის მიწოდებას სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შედეგების ასახვაზე პასუხისმგებელ პირს.

მუხლი 11 სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შეფასებების აღრიცხვა

1.ფაკულტეტის უფლებამოსილი თანამშრომელი უბრუნველყოფს შესაბამის ფაკულტეტზე ჩატარებული გამოცდების შეფასებების აღრიცხვას სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში

2.ფაკულტეტი ვალდებულია, დასკვნითი საგამოცდო პერიოდის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა დაასრულოს შუალედური შეფასებების შეტანა სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში, რომელიც აღნიშნული ვადის ამოწურვისთანავე დაიხურება.

3.იმ შემთხვევაში, თუ დათქმულ ვადაში სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში არ იქნა შეტანილი შუალედური შეფასებები, პედაგოგი ან/და ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი, ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობით წარუდგენს ახსნა-განმარტებით ბარათს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსს, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

4.თუ სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შუალედური შეფასებების აღრიცხვის დროს დაშვებულია შეცდომა, პედაგოგი ან/და ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი ვალდებულია ახსნა-განმარტებითი ბარათით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. ფაკულტეტი ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსს.

5. დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის შეფასებების გამოაქვეყნება მანამ, სანამ სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში არ იქნება დაფიქსირებული საგნის შუალედური შეფასებები, ხოლო კომბინირებული გამოცდის შემთხვევაში გამოცდის ზეპირი კომპონენტის ნიშნები.

მუხლი 12. კომბინირებული გამოცდა

1. საგნებში, რომლის გამოცდა შედგება წერითი და ზეპირი კომპონენტისაგან, გამოცდის ზეპირი კომპონენტის ჩატარებას ფაკულტეტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს პედაგოგი.
2. გამოცდის ზეპირი კომპონენტი წინ უნდა უსწრებდეს წერით კომპონენტს. ზეპირი კომპონენტის შეფასების წილი არ შეიძლება აღემატებოდეს გამოცდის ორივე კომპონენტის შეფასებათა ჯამის ნახევარზე მეტს.

მუხლი 13. გამოცდის მსვლელობა

1. დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 3 საათი, ხოლო შუალედური გამოცდის არაუმეტეს 2 საათისა.
2. დამკვირვებელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის თანამშრომელი ან ხელშეკრულებით მოწვეული პირი. დამკვირვებლის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია წინამდებარე დებულების მე-16 მუხლით. დამკვირვებელი ვალდებულია გამოცდის მსვლელობისას დაიცვას აღნიშნული წესები და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.
3. დამკვირვებელი ექვემდებარება საგამოცდო ცენტრის უფროსს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.
4. გამოცდის მსვლელობისას სტუდენტი ვალდებულია, იმოქმედოს წინამდებარე დებულების მე-17 მუხლებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

მუხლი 14. გამოცდების შედეგების გადამოწმება

1. დასკვნითი/დამატებითი საგამოცდო ვადის ამოწურვის შემდეგ, გამოცდების შედეგების გადამოწმების მიზნით, ფაკულტეტის დეკანის/საგამოცდო ცენტრის წარდგინების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით შესაძლებელია შეიქმნას კომისია;
2. ამ მიზნით შექმნილი კომისიის წევრი შეიძლება იყოს მიმართულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მოწვეული სპეციალისტი, ან დარგის ექსპერტი, რომელიც არ იღებდა მონაწილეობას საგამოცდო ნაშრომის გასწორებასა და მის აპელაციაში;
3. ამ მიზნით შექმნილი კომისიის წევრობა არ არის დამატებით ანაზღაურებადი საქმიანობა-უფლებამოსილება ხორციელდება შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დატვირთვის ფარგლებში;
4. ამ მიზნით შექმნილი კომისია შეისწავლის საგამოცდო ნაწერებს და შესაბამის დასკვნას წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.
5. ამ მიზნით შექმნილი კომისია ექვემდებარება რექტორს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

მუხლი 15. საგამოცდო ბილეთების გადამოწმება

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის/ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში პრორექტორის მოთხოვნის შესაბამისად დასკვნითი/დამატებითი საგამოცდო ვადის ამოწურვის შემდეგ, საგამოცდო ცენტრი ვალდებულია პედაგოგების მიერ წარმოდგენილი საგამოცდო ბილეთები/საკითხები შემდგომი რეაგირებისათვის გადასცეს მას.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი/ხარისხის პრორექტორი ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში უფლებამოსილია დაადგინოს წარმოდგენილი საგამოცდო ბილეთების/საკითხების შესაბამისობა საგნის სილაბუსთან, წარუდგენოს დასკვნა რექტორს და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

მუხლი 16. გამოცდის დამკვირვებელთა უფლება-მოვალეობები

1. დამკვირვებელი ვალდებულია, გამოცდის ჩატარების ადგილას გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ ნახევარი საათით ადრე.
2. დამკვირვებელი ვალდებულია, სტუდენტთა რეგისტრაციის დაწყებამდე დაიკავოს მისთვის განკუთვნილი ადგილი.
3. მას შემდეგ, რაც სტუდენტები დაიკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილებს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი გადასცემს დამკვირვებელს საგამოცდო ფურცლებს, სექტორის უწყისსა და საგამოცდო ბილეთებს.
4. დამკვირვებელი თავის სექტორში არიგებს საგამოცდო ფურცლებს.
5. დამკვირვებელი სტუდენტებს აცნობს უფლება-მოვალეობებს.
6. დამკვირვებელი სტუდენტთა თვალწინ ხსნის კონვერტს და სექტორის უწყისის მიხედვით არიგებს საგამოცდო ბილეთებს. ამის შემდეგ იწყება საგამოცდო დროის ათვლა. დასკნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 3 საათი (თუ სხვა რამ არ არის მითითებული საგამოცდო ბილეთზე), ხოლო შუალედური გამოცდის ხანგრძლივობა არ აღემატება 2 საათს.
7. დამკვირვებელი ვალდებულია, დააკვირდეს გამოცდის მიმდინარეობას მისთვის განსაზღვრულ სექტორში. მკაცრად აკონტროლოს სტუდენტების მიერ უფლება-მოვალეობების დაცვა. მათი დარღვევის შემთხვევაში მისცეს გაფრთხილება სტუდენტს, ხოლო განმეორებითი გაფრთხილებისას, ასევე საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთით სარგებლობის შემთხვევაში მოხსნას იგი გამოცდიდან.
8. სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში, დამკვირვებელი ჩამოართმევს სტუდენტს საგამოცდო ბილეთს და საგამოცდო ფურცლებს. საგამოცდო ფურცელზე აკეთებს წარწერას – „მოხსნილია გამოცდიდან” მიზეზის მითითებით, აფიქსირებს სტუდენტის გამოცდიდან მოხსნას საგამოცდო ნაშრომის მიღება-ჩაბარების უწყისშიც და აწერს ხელს.
9. დამკვირვებელს ეკრძალება მისთვის განსაზღვრული სექტორის დატოვება.

10. დამკვირვებელი ვალდებულია, გასცეს პასუხი სტუდენტის მიერ დასმულ პროცედურულ და ტექნიკურ შეკითხვებს. მას საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე პასუხის გაცემა ეკრძალება.
11. გამოცდის მიმდინარეობის პროცესში რაიმე კითხვის ან პრობლემის არსებობის შემთხვევაში დამკვირვებელი ვალდებულია, მიმართოს საგამოცდო ცენტრის თანამშრომელს.
12. საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე დამკვირვებელი ატყობინებს სტუდენტებს ამის შესახებ.
13. დამკვირვებელი იბარებს საგამოცდო ფურცელს, საგამოცდო ბილეთს და ხელს აწერს ნაშრომის ბოლოს.
14. დამკვირვებელი ყველა ნაწერის ჩაბარების შემდეგ თვითონაც აფიქსირებს საკუთარ ხელმოწერას საგამოცდო ნაშრომის მიღება-ჩაბარების ჟურნალის ბოლოს.
15. დამკვირვებელი საგამოცდო ნაშრომებს, საგამოცდო ნაშრომის მიღება-ჩაბარების ჟურნალს გადასცემს საგამოცდო ცენტრს.
16. წინამდებარე წესების დარღვევის შემთხვევაში დადგება დამკვირვებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

მუხლი 17. გამოცდის მსვლელობისას სტუდენტთა ქცევის წესები

1. სტუდენტი ვალდებულია ცხრილში მითითებული განრიგის მიხედვით, გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე. დაგვიანების შემთხვევაში სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება.
2. სტუდენტი ვალდებულია, იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება.
3. სტუდენტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია, მიიღოს სექტორისა და მაგიდის ნომერი. იგი ვალდებულია, დარბაზში ადგილი დაიკავოს რეგისტრაციის ნომრის მიხედვით.
4. აკრძალულია გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა, გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა. ზედმეტი ნივთები სტუდენტმა უნდა ჩააბაროს დამკვირვებელს.

5. სტუდენტი ვალდებულია, მაგიდის კუთხეში დადოს პირადობის მოწმობა.
6. მაგიდაზე არ უნდა იდოს არც ერთი ნივთი გარდა სტუდენტის პირადობის მოწმობის, საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა.
7. წერის დაწყებამდე სამუშაო მაგიდაზე რაიმე სხვა ფურცლის აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, გამოცდის დაწყების შემდეგ ნებისმიერი სხვა დარღვევის შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან.
8. სტუდენტი ვალდებულია, შეამოწმოს მისი საგამოცდო ფურცლის ხარვეზიანობა, დაზიანების არსებობის შემთხვევაში უნდა მიმართოს დამკვირვებელს. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ ასეთი პრეტენზია აღარ მიიღება.
9. საგამოცდო ნაწერი უნდა შესრულდეს დამკვირვებლის მიერ დარიგებულ საგამოცდო ფურცლებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება.
10. საგამოცდო ფურცელზე ამისათვის განკუთვნილ ადგილას სტუდენტმა უნდა დაწეროს სახელი, გვარი, ფაკულტეტი, საგნის დასახელება და ლექტორის სახელი და გვარი.
11. სტუდენტი ვალდებულია, საგამოცდო ნაშრომი შეასრულოს ლურჯი ფერის პასტით, სტუდენტს ეკრძალება საგამოცდო ფურცელზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის (სახელი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან; საგამოცდო ფურცელზე რაიმე სახის მინიშნების აღმოჩენის შემთხვევაში ნაწერი არ გასწორდება.
12. სტუდენტი ვალდებულია, არ გადაშალოს დამკვირვებლის მიერ დარიგებული საგამოცდო ბილეთი, სანამ არ დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა. დასკნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 3 საათი (თუ სხვა რამ არ არის მითითებული საგამოცდო ბილეთზე), ხოლო შუალედური გამოცდის ხანგრძლივობა არ აღემატება 2 საათს.
13. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ აკრძალულია აუდიტორიიდან გასვლა წერის სრულად დამთავრებამდე.

14.თუ სტუდენტი დროზე ადრე დაიწყებს საგამოცდო ბილეთზე მუშაობას, მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან.

15.საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე პასუხი არ იქნება გაცემული. პროცედურული და ტექნიკური ხასიათის შეკითხვების შემთხვევაში სტუდენტმა უნდა მიმართოს დამკვირვებელს.

16.აკრძალულია გამოცდის პროცესის დროს საუბარი. ერთმანეთთან გადალაპარაკების შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან.

17.აკრძალულია მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო, ასევე საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა. ამ შემთხვევაში სტუდენტი დაუყოვნებლივ მოიხსნება გამოცდიდან.

18.გამოცდიდან მოხსნის საფუძველი შეიძლება გახდეს დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა.

19.საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე დამკვირვებელი ატყობინებს სტუდენტებს ამის შესახებ. არ გასწორდება იმ სტუდენტთა ნაშრომები, ვინც საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას.

20.სამუშოს დასრულების შემდეგ საგამოცდო ბილეთი და ფურცლები სტუდენტმა უნდა გადასცეს დამკვირვებელს და მოაწეროს ხელი საგამოცდო ნაშრომის მიღება-ჩაბარების ჟურნალში.

თავი V

დასკვნითი დებულებები

მუხლი 18.

1. ცენტრის დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.

2.ცენტრის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

დანართი N1

საგნის პედაგოგის ფორმულარი

ფაკულტეტი _____

საგნის დასახელება _____

პედაგოგის სახელი, გვარი _____

ტელეფონი (სახლის, სამსახურის, მობილური) _____

ელექტრონული ფოსტა _____

გამოცდის სახე წერიტი, წერიტი + ზეპირი

(გაუსვით ხაზი)

წერიტი გამოცდის ფორმატი საკითხი, ტესტი (ღია, დახურული), ამოცანა, კაზუსი, სხვა

(გაუსვით ხაზი. კომბინირებული ბილეთის შემთხვევაში გაუსვით ხაზი ყველა კომპონენტს)

გამოცდის მაქსიმალური შეფასება _____

როგორია ბილეთის შეფასების სისტემა (როგორ ნაწილდება შეფასება ბილეთის თითოეულ კომპონენტზე)

გამოცდის სავარაუდო ხანგრძლივობა (დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობა
3სთ/შუალედური გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობა 2 სთ) _____

რისი გამოყენების უფლება აქვს სტუდენტს გამოცდაზე კალკულატორი, ლექსიკონი,
კოდექსი, სხვა _____ (გაუსვით ხაზი)

არის თუ არა საჭირო AcadNusx, Sylfaen-ის გარდა რომელიმე სპეციფიკური შრიფტი
საგამოცდო ბილეთისათვის (თუ კი, მიუთითეთ) _____

დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მიზანშეწონილია ვიცოდეთ გამოცდის
ორგანიზებულად ჩატარების მიზნით _____

პედაგოგის ხელმოწერა _____

თარიღი _____

